წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ხუთშაბათი, 10 მარტი 1916 წ. | № 55

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის წინ 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ქ. ბაქოში
**ღვინით ვაჭრობა**
**„მელაანი“**
**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

**შეშის საწყობი**
**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
**საკუთარი ტყიდან**
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და**
**ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
**ღვინის საწყობი**
ადამ ზურაბის ძის
**ბერელაშვილისა**
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

**სასტუმრო „ავრორა“**
ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.
უაღრესი სიფაქიზე. **ელექტრონის განათება**
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
**სასტუმროსთან მოწყობილია**
**სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.**
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—)

**განცხადება**

იმ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც 1916 წ. 24 თებერვალს დაიდო **ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტსა და ინჟენერ ივანე სერგეის ძე პონდოევის შორის**, მისი საწყობიდან, რომელიც მოთავსებულია თბილისში ელისაბედის ქუჩაზე № 127 და 164, იძლევიან თავდაცვისათვის საჭირო ყოველგვარ რკინეულობას და სხვა საამშენებლო მასალას პირობის წერილში განსაზღვრულის ნიხრით.

ყოველგვარ ცნობებისა და მასალის მისაღებად უნდა მიჰმართონ სამხ. სამრ. კომიტეტის სამექანიკო განყოფილების კანტორას, ელისაბედის ქუჩა № 184

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**
(მიხეილის პროსპექტი № 129)
**ხუთშაბათს,** 10 მარტს, **სიმებიანი ორკესტრი**
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე
სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ ფასს.
**პარასკევს** 11 მარტს, **საზანდარი**

**ვასწავლი**
ქართულ „სიმღერა-გალობას“ და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს, დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა
**მიხეილ კავსაძესთან**
(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა.—ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკეობ. საღ. 6-9-დე).
ვასწავლი მუშა ხალხსაც.

**ექიმი მ. გ. ვეფხაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.
20—67—3

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
**ახალი აფთიაქი**
პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი-დოსტაქარი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** 8 მარტი. **ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** დვინსკის რაიონის სამხრეთით მკვირცხლი საარტილერიო სროლაა. ტვერეჩის რაიონის აღმოსავლეთით ველიკოე სელოზე კონტრ-იერიში მოიტანეს, მაგრამ უკუ გდებულ იქმნენ რუსების მიერ. გოდუშჩიმკის აღმოსავლეთით რუსებმა წინა რიგის თხრილები აიღეს. ს. მიხალჩესთან რუსებმა ხელთ იგდეს 2 ზარბაზანი, დავლის ანგარიშში არიან. პოზიციის დამცველთა მეტი წილი ხელჩართულ ბრძოლაში დაიღუპა.

**კავკასიის ასპარეზი.** ზღვის ნაპირებზე რუსები წინსვლას განაგრძობენ.

**პარიზი,** 7 მარტი. ორშაბათს გერმანელები შეეცადნენ რაიმე გამარჯვებით აემაღლებინათ გერმანეთში უკვე დაცემული სული. მალენკურისა და ავოკურის შუა 4 კილომეტრის მანძილზე ფართო მანევრები დაიწყეს. დიდი ყალიბის ზარბაზნებიდან საშინელი სროლა ასტეხეს, ამასთანავე მხრჩოლავი გაზები გამოუშვეს, რომ ბეტანკურისა და მორტომის პოზიციებისთვის ზურგიდან მოევლოთ, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ და დიდი ზარალიც მოუვიდათ. მათ შეინარჩუნეს მხოლოდ მალანკურის ტყე, სადაც გერმანელებმა ისარგებლეს ადგილობრივი მდებარეობით, გორაკებით და რაოდენადმე წაიწიეს. გამარჯვების რეზულტატი მეტად მცირეა მსხვერპლთან შედარებით. ის ფაქტი, რომ საიერიშოთ მათ ჯარები მოიშველიეს, ჰგულისხმობს იმას, რომ დამცველნიც გაძლიერებულან. დღევანდელი ჩვენი გამარჯვებანი მომავალ სრულ გამარჯვების თავდებია.

**პარიზი,** 7 მარტი. დღისით მოსული ოფიციალი უწყება. მაასის დასავლეთით გერმანელებმა საარტილერიო სროლა გააძლიერეს, მალანკურის რაიონის სამხრეთით მაასის აღმოსავლეთით ძლიერი არტილერიის სროლის შემდეგ გერმანელებმა იერიში მოიტანეს პუავრეს მაღლობებზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. ვოს რაიონში დრო გამოშვებით საარტილერიო სროლაა. ვევრში მთელმა ღამემ წყნარად ჩაიარა, გარდა ეპარჟისა, სადაც ძლიერი საარტილერიო სროლა მოხდა. მთელს ფრონტის გასწვრივ აღსანიშნავი არა მომხდარა რა. დღეს დილით 4 საათზე ინგლისელთა, ფრანგთა და ბელგიელთა მფრინავნი დაესხნენ გუტავის საავიაციო პარკს და უვნებლად დაბრუნდნენ უკან.

**პარიზი,** 7 მარტი. საღამოთი მოსული ცნობა. არგონებში ჩვენმა არტილერიამ გაანადგურა გერმანელთა თხრილები ფურ-დე-პარის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ენერგიული სროლა ავუტეხეთ ავოკურ-მალანკურის ხაზზე და მთელი რაზმი გავფანტეთ მონფოკონის ტყის ჩრდილოეთით. შორეულ ფრონტიდან გერმანელების ორი დივიზია, მსხვილი ყალიბის ზარბაზნებიდან სროლის შემდეგ, იერიშით წამოვიდა ავოკურისა და მალანკურის შუა, თანაც ცხელ სითხეს გვასხამდენ თავზე. ტყვიისმფრქვეველებით მათ დიდი ზარალი მივაყენეთ. მათ მხოლოდ ერთ პუნქტში წაიწიეს მალანკურის ტყის აღმოსავლეთ ნაწილში. „304“ მაღლობზე ბურიუს ტყის რაიონში მკაცრი საარტილერიო სროლა იყო. მაასის აღმოსავლეთით და ვევრში ხანგამოშვებით არტილერიის სროლა სწყდებოდა. ღამით, 6—7 მარტს, ჩვენმა ჰაეროპლანებმა გაითარეშეს და ერთი მტრის ჰაეროპლანი დაჰღუპეს. სხვა და სხვა ადგილას მათ 25 ყუმბარა ჩამოაგდეს.

**ათინა,** 7 მარტი. გევგელისა და მატჩიკოვის რაიონებში საარტილერიო სროლაა. ფრანგებმა დიდი ყალიბის ზარბაზნები მოიხმარეს.

**რომი,** 7 მარტი. მთელს ფრონტზე საარტილერიო სროლა გაძლიერდა, განსაკუთრებით სოგნოსა და შუა იზონცოს ღელეში მკაცრი ხასიათი მიიღო. ბრძოლის დროს აღმოჩნდა, რომ მტერს მაშველი ჯარები მოსვლიათ. იზონცოს ღელეში ჩვენმა ჯარებმა დაიბრუნეს თხრილები, რომელიც წინა დღეებში დაჰკარგეს. რომ მტრის ცეცხლი აგვეცილებინა, ჩვენი წინა ხაზი 500 მეტრით უკან გადმოვწიეთ. უკან დახევა სრულის წესრიგით მოხდა. საბოტინოზე მტერმა სცადა იერიშის მოტანა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. კრასოზე მთელმა დღემ წყნარად ჩაიარა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ფონ ტირპიცის გადადგომა.**

გერმანეთის საზღვაო მინისტრი ადმირალი ფონ-ტირპიცი თანამდებობიდან უკვე გადადგა. ფონ-ტირპიცის სამოქმედო გეგმით გერმანელების წყალქვეშა ნავებს უნდა დაეღუპათ ყველა მოპირდაპირე ქვეყნის გემები, თუნდაც მხოლოდ ერთის ზარბაზნით შეიარაღებული. წყალქვეშას მაშინვე უნდა ჩაეძირა გემი „რა წამსაც თვალს მოჰკრავდა“. ამ გზით რომ ევლოთ, ყოველი გემი გაუჩხრეკად და შეუმოწმებლად უნდა დაეღუპათ. ფონ-ტირპიცის გეგმით წყალქვეშა ნავებს 1 მარტიდან უნდა დაეწყოთ ასეთი ბრძოლა. მაგრამ, სჩანს, მისი აზრი არ გაიზიარა გერმანეთის მთავრობამ და ფონ-ტირპიცი სამსახურიდან გადადგა. ამის გამო გაზ. „რეჩ“-ი სწერს: სამოქმედო ასპარეზს ჩამოჰშორდა მეორე პიროვნება, რომელიც მზათ იყო მსოფლიო ომის ატეხისა; პირველი პიროვნება კი ფრანც-ფერდინანდი—ხომ ომის დაწყებამდე მოჰკლეს.

**ვერდენთან.**

ვერდენთან გერმანელებს მაასის მარჯვენა ნაპირას ჰყოლიათ მე-15 და მე-18 სათადარიგო კორპუსი, მე-3 საველე კორპუსი, მე-5 და მე-15 სათადარიგო კორპუსი, ხოლო მაასის მარცხენა ნაპირას: ხუთი დივიზია. სულ 15 დივიზია. მე-18 და მე-3 კორპუსი ძალიან დაზარალებულა და მათ მაგიერ აქ მიუყვანიათ პრუსიელთა გვარდია კაიზერის საუკეთესო ჯარი.

უკანასკნელ სამხედრო თათბირის შემდეგ კრონ-პრინცის ჯარი კიდევ ორი კორპუსით გააძლიერეს.

გერმანელებმა 3000 ზარბაზნიდან ასტეხეს სროლა და რამდენსამე საათში 5 მილიონი ყუმბარა ისროლეს. რაც აქ ყუმბარა გავარდა წონით 26 მილიონ ტონს (ტონი 62 ფუთია) უდრიდა, რომლის გადაზიდვასაც 25 ათასი ვაგონი დასჭირდებოდა.

**შვეცია და რუსეთი.**

„Deutsche Tageszeitung“-ი სწერს: რუსეთის დიპლომატია სცდილობს შვეცია მოკავშირეთა გავლენას დაუქვემდებაროს ეკონომიურად და ამხედროს გერმანეთის წინააღმდეგ. მაგრამ დამოუკიდებელი შვეცია დაემყარება მხოლოდ დამოუკიდებელ და ძლევამოსილ გერმანეთს და არა რუსეთს, რომელსაც შვეციის მიწა-წყალზე თვალი უჭირავს.

**ვ. მიხაილოვსკის აზრი.**

მამახათუნის აღების გამო მიხალოვსკი სწერს: ეს ქალაქი აზრუმის მიდამოებშივე მდებარეობს, სახელდობრ სომხეთის საომარ ასპარეზის წინა ნაწილში. აზრუმიდან მამახათუნამდე შარაგზით 100 ვერსია, ხოლო მამახათუნიდან ერძინჯანამდე—93 ვერსი. აქ ოსმალებს ძლიერი ჯარი ჰყავდათ რუსის ჯარის შესაჩერებლად, მაგრამ დამარცხდნენ. მდ. ტუზლაჩაის ვიწრო ხეობაში მათ დასტოვეს 800 ტყვე, 5 ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველები და ბარგის ურმები. ერზენჯანიდან გზა მიდის სივარისა და მალატიისაკენ, საიდანაც მდ. ტიგროსის სათავეს ზურგიდან მოექცევა. ერზენჯანიდან გზატკეცილი მიდის ტრაპიზონისაკენაც.

**ფონ-კაპელლე.**

გერმანეთის საზღვაო მინისტრ სტირპიცის მოადგილედ ასახელებენ ადმირალ ფონ-კაპელლეს, რომელიც ტირპიცის მარჯვენა ხელი იყო. ვოლფის სააგენტო იტყობინება: ფონ-კაპელლეს დანიშვნა იმისი მომასწავებელია, რომ ეხლა წყალქვეშა ნავებით ბრძოლა ნეიტრალ სახელმწიფოთა მიმართ დაპირების მიხედვით იწარმოებს.

ფონ-კაპელლეს დანიშვნა „ბ. ვ.“-ის სიტყვით წყალქვეშა ნავებით ბრძოლას არ შესცვლის; იგი განაგრძობს ფონ-ტირპიცის გზას. ფონ-კაპელლე 1855 წელს დაბადებულია. მას კონტრ-ადმირალობა 15 წლის წინად მიუღია.

# დეპეშები

(„საქართველო“-ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**ვერდენის დამცველის გენერალი პეტენის მოწმობით ბელანკურთან და მორტომთან განახლებული ბრძოლა იშვიათის სიმკაცრით მიმდინარეობს.**

**გერმანელები და ფრანგები ახალ-ახალ დივიზიებს გზავნიან ვერდენში.**

—

**იტალიელი გენერალი კადორნა პარიზს ჩამოვიდა გენერალისიმუს ჟოფრთან სათათბიროდ. განზრახულია იტალიელ ჯარების გაგზავნა საფრანგეთის ფრონტზე.**

—

**რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე გაზაფხულის კამპანია დაიწყო.**

—

**ალბანეთის მთავარი ესად-ფაშა რომში იმყოფება.**

—

**მექაში სალოცავად წასული ენვერ-ფაშა უკან დაბრუნდა. მას ებოძა ჰაჯის ტიტული.**

—

**ათონის ბერძენმა ბერებმა მონასტერში არც ინგლისელები შემოუშვეს და არც ფრანგები.**

—

**სახელმწიფო საბჭოს წევრთა შორის დაბეჯითებით ლაპარაკობენ, ბ-ნი კრივოშეინი, მიწადმოქმედების ყოფილი მინისტრი, კავკასიაში ერთ დიდ პოსტზე დაინიშნებაო.**

ბ. ვ.

# უკანასკნელი ფოსტა

ვაშინგტონიდან ცნობაა: გერმანელებს განზრახვა აქვთ ვერდენის აღების შემდეგ ზავის პირობები საჯაროდ წარუდგინონ მოპირდაპირე სახელმწიფოებს.

**რუმინეთში.**

„დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება: რუმინეთიდან გადიან გერმანელები, ავსტრიელები და ბულგარელებიო. ჰფიქრობენ, ვითომც რუმინეთი მოკავშირეებს მიემხრობა, თუ გერმანელებმა ვერდენი ვერ აიღესო.

**ახალი რკინის გზა.**

„დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება: ავსტრიელებსა და გერმანელებს სწრაფად გაჰყავთ რკინის გზის ლიანდაგი მეხოვოსა და ივანგოროდის შუა. ამ გზის სიგრძე 200 ვერსამდეა. უმეტესი ნაწილი გზისა მარტის გასულისათვის მზად იქნება.

**იზმაილ ხაკი-ფაშა.**

„მორნინგ პოსტ“-ი იტყობინება: ოსმალეთის სამხედრო მინისტრად, ენვერ-ფაშას მაგიერ, მისს მახლობელ მეგობარს, ხაკი-ფაშას ასახელებენ. ხაკი-ფაშა სულთანის სიძეა. იგიც განზრახულ მიზნის მისაღწევად არაფერს არ მოერიდება.

**რუსეთის ასპარეზი.**

„რეჩ“-ის სიტყვით, რუსეთის ჩრდილო ასპარეზზე, სადაც გენერალ კუროპატკინის ჯარი მოქმედობს, ბრძოლა გაცხოველდა.

საროჩის მიდამოებში ქვეითა ჯარების ბრძოლა გაძლიერდა.

**ფრანგების ჰაეროპლანები.**

ფრანგების 7 ჰაეროპლანმა ეგეის ზღვა გადასერა, 380 ვერსის მანძილზე და სმირნას ყუმბარები დაუშინა. ამბობენ დიდი ზიანი მიაყენესო.

**გერმანეთის ვალი.**

პრუსიის ლანდტაგის სოც.-დემ. დეპუტატ შტრებელის სიტყვით გერმანეთს ამ ჟამად 50 მილიარდი მარკა ვალი ჰქონია. ნახევარ წლის მერე ეს ვალი 18 მილიარდს მიაღწევს (9 მილიარდ მანეთამდე).

—

საბერძნეთმა იტალიის პასუხს აღარ დაუცადა და ჩრდილო ეპირი შეიერთა.

## ბრძოლის ველზე

რამდენჯერმე გვქონდა შენიშნული, რომ ვერდენის ოპერაციაში უმთავრესი მნიშვნელობა მაასის მარცხენა ნაპირს აქვს, სახელდობრ ბეტანკურ-მორტომ-კიუმიერიის სექტორსაო. ვთქვით ისიც, რომ დუომონ-ვოს სექტორი, სადაც კრონპრინცის არმიის მარცხენა ფრთა იბრძვის შტრანცის არმიის მარჯვენა ფრთასთან შეთანხმებით, ერთგვარი საპირბადე დემონსტრაციაა, ლამაზი მანევრი, რომელიც ღირსებით და სითამამით ნამდვილ ბრძოლასა სჯობიან. ეს სავსებით გამართლდა. დღევანდელ ბილიუტენების მიხედვით ხსენებულ სექტორში, ბეტანკურ-მორტომთან საშინელი სახით იფეთქა ბრძოლამ. აღმოჩნდა, გერმანელებს ამ შესვენების დროს სხვა ორი დივიზიაც კი უსესხნიათ შორეულ ფრონტიდან და აქ შეცდილან ხსენებული პოზიციებისთვის ზურგით მოევლოთ.

დიდი მსხვერპლის შემდეგ გერმანელთ კიდევ ერთი ნაბიჯით ეღირსათ მნიშვნელოვან პოზიციის დაკავებით, სახელდობრ მალანკურის ტყის აღებით, რომელიც ბუნებრივ მტკიცე პოზიციას წარმოადგენს, როგორც მაასის მწვერვალთა ტერრასის ერთი მნიშვნელოვანი საფეხურთაგანი. საზოგადოდ დიდი წინასწარმეტყველება არ არის საჭირო ახლა გადაჭრით ვთქვათ, რომ კრიზისი ვერდენის საკმაოდ მომწიფდა და მისი ავად და კარგად გადაჭრა სულ ახლო მომავლის საკითხია.

რუსეთის ფრონტსაც გამოცოცხლება დაეტყო. უკვე ნიშნები სჩანს, რომ რეპეტიცია მალე ტრაღედიის პირველ აქტის ფარდის ახდაზე გადავა.

იტალეთმა პოეტურ დეპეშებით დღეს გამოამჟღავნა ერთი ამბავი, რომელიც წინა დღის ბილიუტენებში გამორჩა გამოსაქვეყნებლად: ჩვენ დავიბრუნეთ გუშინ დაკარგული პოზიციების პირველი ხაზი სანტა-მარიასთანაო. როგორც სჩანს, ინიციატივა ბრძოლისა აქ ავსტრიელთა ხელშია. მათ მიაქვთ იერიშები. იტალიელებს გაუმარჯვნიათ იზონცოს ღელეში, თუმცა გამარჯვება რომ უზრუნველეყოთ, ოფიციალ ბილიუტენის ცნობათა თანახმათ მათ ბრძოლის ხაზი 500 მეტრით გადაუწევიათ უკან. უკან დახევაო, ნათქვამია ამ განცხადებაში, სრული წესრიგით მოხდაო.

კავკასიის მხედრობას რამდენიმე ვერსით კიდევ წაუწევიათ წინ დასავლეთისკენ.

X.

### თბილისი, 10 მარტი.

**თბილისის პოლიტეხნიკუმი.** სამინისტროს გადაუწყვეტია თბილისის პოლიტეხნიკუმის კანონ-პროექტის საკანონმდებლო დაწესებულებებში შეტანა. თუმცა მთავრობამ თავიდანვე აღიარა თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების დაუყოვნებლივი საჭიროება, მაგრამ წლები გავიდა და ეს საქმე სამინისტროს კანცელარიას მხოლოდ ეხლა შორდება. კავკასიის უმაღლეს მთავრობას საქმის დასაჩქარებლად კიდევ ახალ-ახალი შუამდგომლობებიც აღუძრავს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ნაადრევია სიხარული, თუ დაიმედება, რომ მოკლე მომავალში თბილისს უმაღლესი სასწავლებელი ეღირსება. სახელმწიფო სათათბიროში აუარებელი საკანონმდებლო მასალაა დაგროვილი, და ვინ იცის კავკასიის პოლიტეხნიკუმზედ ჯერი როდის მიაღწევს.

სათათბიროს შემდეგაც საკანონმდებლო პროცედურა კიდევ გრძელია და ამ გვარად ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის საქმე, სათათბიროში და საბჭოშიდაც მას თანაგრძნობით რომ მიეგებონ, კანონად შესაძლოა დიდ ხანს არ იქცეს, ჩვენი ქვეყანა კი უმაღლეს სასწავლებელს დიდი ხანია მოელოდება. ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა სად და რა ქვეყნებში არ არის გარდახვეწილი და იქ სიმშილს და სხვა დაბრკოლებებს ებრძვის. ჩვენი ქვეყანა სრულებით შეუსწავლელია. მისი მეურნეობა, თუ ბუნებრივი სიმდიდრენი სწავლით აღჭურვილ მუშაკთ მოითხოვს. დიდი ხანია ჩვენ სრული უფლება გვქონდა ასეთს სასწავლებელზედ და მთავრობის დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, რომ ამოდენა, ყოველმხრივ მდიდარი კუთხე, უმაღლეს სასწავლებელს დღემდის მოკლებულია. რომ მთავრობა ამ საქმეს დღესაც არ უჩქარის, ეს იმითაც მტკიცდება, რომ ამ ომის დროს არა ერთი და ორი სასწავლებელი დასძრეს ადგილიდან და სხვა ქალაქებშიდ გადაიტანეს და მიუხედავად თხოვნისა, თბილისში არც ერთი გადმოხიზნული სასწავლებელი არ გახსნეს. სამაზრო ქალაქებშიდაც კი მოათავსეს უმაღლესი სასწავლებლები და თბილისი კი ამის ღირსი არ გახდა.

რაც შეეხება თვით თბილისის პოლიტეხნიკუმის საქმეს, მთავრობას რომ მისი დაჩქარება ნდომებოდა, შეეძლო პოლიტეხნიკუმის კანონ-პროექტი მე-87 მუხლის ძალით გამოეცათ. ამ ომის დროს, მას შემდეგ რაც სათათბირო დაითხოვეს, ამ მუხლის ძალით არა ერთი და ორი კანონი გამოუციათ. რასაკვირველია, თუ მთავრობა მოინდომებს, მას შეუძლიან თვით საკანონმდებლო დაწესებულებებში საქმის დაჩქარება და მით თბილისის პოლიტეხნიკუმის გახსნის საქმეც მოახლოვდება. ვინ იცის, იქნებ კავკასიის უმაღლესი მთავრობა ამ გზას დაადგეს და თუ ჩვენი ქვეყნის საჭიროებებს ანგარიშს გაუწევენ, მთავრობამ თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა უთუოდ უნდა დააჩქაროს.

---

**რუსეთის ეკონომიური მოუწყობლობა.** მეტად მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რომელიც ომმა რუსეთის ცხოვრებაში შეიტანა. რუსეთის ეკონომიური ცხოვრება დიდს რყევას განიცდის ამ ომიანობის დროს, მან მრავალი ცვლილება გამოიარა და ახლო მომავალში კიდევ მეტს მოელოდება. ომმა მოსწყვიტა რუსეთი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს რის გამო თითქმის სრულიად მოისპო რუსეთში უცხო ქვეყნის ნაწარმოებების შემოტანა და რუსეთიდან საქონლის გატანა.

რუსეთის ეკონომიური კავშირი და დამოკიდებულება უცხოეთთან მეტად მძლავრი და გარდუვალი აღმოჩნდა: მრეწველობის ყოველ დარგში მალე იგრძნეს სხვა და სხვა საჭირო მასალის დანაკლისი და მრავალი წარმოება შესწყდა, თუ შემცირდა. რუსეთს კი სწორედ, ეხლა სჭიროდა ეკონომიური ძლიერება. საკმაო საომარ მასალის უცხო ქვეყნებიდან შემოზიდვა შეუძლებელი იყო და შინ უნდა დაემზადებინათ. აქედან იწყება მრეწველობის „მობილიზაცია“, არსდება სხვა და სხვა სახის სამხედრო-სამრეწველო ორგანიზაციები. მას აქეთ ერთმა წელმა განვლო და ამ დღეებში სატახტო ქალაქებში ერთი მეორეზედ იმართება მრეწველთა და მეურნეთა წარმომადგენლების ყრილობა.

ყველა მათ თავ თავისი საკუთარი სურვილები და მოთხოვნილებები ამოძრავებთ, მაგრამ ყველა ამ ყრილობებზე, როგორც სოფლის მეურნეობის წარმომადგენელნი, ისე მეტალურგიის, თუ სამთო წარმოების მრეწველნი ერთხმად უსაყვედურებდენ მთავრობას, რუსეთის ეკონომიურ განვითარებისთვის საზიანო და მავნე პოლიტიკას აწარმოებო. რუსეთის ეკონომიური ვითარება კი ისეთია, რომ მისი საკუთარ ფეხზედ მაგრად დადგომა მხოლოდ საზოგადოების და მთავრობის შეთანხმებული ხანგრძლივი მუშაობით მოხერხდება. ის პოლიტიკა, რომელსაც ეხლა მთავრობა აწარმოებს და რომელიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ რეკვიზიციებში გამოიხატება, საღ და გონიერ პოლიტიკად ვერ ჩაითვლება.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის პოლიტიკას ამ შემთხვევაში მემარცხენე ელემენტებზედ ნაკლებ არც ცნობილი ნაციონალისტები იწუნებენ. პროფესორი მიგულინი, ტუგან-ბარანოვსკი თუ სენატორი ფროლოვი და „ნოვოე ვრემია“-ს სულის ჩამდგმელი მენშიკოვი ერთ გზას მიჰყვებიან. პროფესორ მიგულინის ჟურნალი „ნოვი ეკონომისტი“ სწერს: „ჩვენს წინაშე უკვე სიმშილის აჩრდილია. გრძელდება ახალი და ახალი ხალხის გაწვევა ჯარში. იმდენი ხალხი გაიწვიეს, რომ შესაფერად მათი შეიარაღება მოკლე მომავალში ყოვლად შეუძლებელია. ამის გამო ჯარში გაწვეულები უიარაღოდ ვარჯიშობენ და შრომასაც მოწყვეტილი არიან. იმათ მაგიერობას ჩვენ ტყვეები და ჩინელები თუ კორეელები ვერ გაგვიწევენ. მიწის მუშები აღარ არიან. მიწათ-მოქმედების მინისტრმა განაცხადა, რომ მან მოახერხა და რეკვიზიციიდან გაანთავისუფლა ყოველ 12 დესეტინაზედ წყვილი მუშა ცხენი. ეს კარგია კიდევ, და ეს აქომამდე უნდა მოეხდინათ, მაგრამ საჭიროა კიდევ რომ დატოვებული იქმნეს საჭირო მუშებიც, რადგან ცხენები მარტო ვერ იმუშავებენ“.

ამის შემდეგ ჟურნალი ეხება საქონლის რეკვიზიციას. ის ფიქრობს, რომ ამ წლის ბოლოს რუსეთში საქონელი 28—30 მილიონით შემცირდება, თითქმის განახევრდება. ამ საქონლის რეკვიზიციით ჩვენ ნამდვილი კატასტროფა მოგველისო დასძენს იგი: მუშა ხალხის თითქმის სავსებით ომში გაწვევა და მუშა საქონლის საკლავად წაყვანა აი უმთავრესი მიზეზები იმის, რომ რუსეთში დამუშავებული მიწების სივრცე მეტად შემცირდა და წლეულს თუნდაც მოვიდეს, მაინც სიმშილობაა მოსალოდნელი. მთავრობას ურჩევენ, რაც შეიძლება ფრთხილად მოაწყოს ხალხის ჯარში გაწვევა, გაიყვანოს მხოლოდ იმდენი, რამდენის შეიარაღება მოხერხდება, რომ ამით სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებას ძირი არ გამოეთხაროს, ურჩევენ აგრეთვე ჯარში ხორცეულის შემცირებას, რომ ამით მუშა საქონელი შეინახონ და ამისთვის ასახელებენ ისეთს სამარხოს, რომელიც ხორცზედ ნაკლებ ნაყოფიერი არ არის და სხ.

ად.

---

## ახალი ამბავი

### სასახლეში.

✦ მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა ცაგერის ტაძრის წინამძღვარს დეკ. ი. მარგიანს სვანეთში:

**„ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და დამავალა გადმოგცეთ თქვენ, მცხოვრებთ და მოსამსახურეთ სვანეთ ლეჩხუმისას მადლობა მათი იმპერატორობითი უდიდებულესობისა იმ უქვეშევრდომილესს გრძნობებზე რომელიც განუცხადეთ. ჩემის მხრითაც ლოცვისათვის გმადლობთ ყველას“.**

**გენერალ-ადიუტანტი ნიკოლოზ“.**

✦ მეფის ნაცვალს წარუდგნენ სადარბაზოთ პოდპოლკოვნიკები თ-დი აბაშიძე და თ-დი ორბელიანი, რომელნიც შემდეგ მიწვეულ იქმნენ საუზმეზე.

### ქართულ დაწესებულებებში.

**[illegible] საზოგადოების დილა, რომელიც 13 მარტს უნდა შემდგარიყო და სანდრო შანშიაშვილს თავისი ახალი ნაწარმოები „ბერდო ზმანია“ წაეკითხა, საზოგადოებისგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო შემდეგ დროისთვის გადაიდო, რაიც თავის დროზე საზოგადოებას ეუწყება.**

✦ წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ გადასინჯა საზოგადოების წესდება და რამდენიმე ცვლილება მოახდინა შიგ. პროექტი შეცვლილი წესდებისა უკვე მზად არის. დედა-ძარღვი შეცვლილ წესდებისა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების მთავარ გამგეობას ირჩევს ფილიალ განყოფილებათა დელეგატების კრება. განყოფილების 50 წევრზე 1 დელეგატი მოდის. განყოფილებას თუ 50 კაცზე ნაკლები წევრი ჰყავს, მაგალითად 30, იმ შემთხვევაშიაც განყოფილებას უფლება ეძლევა 1 დელეგატი იყოლიოს. ფუნქციები მთავარი გამგეობისა იგივე იქნება, რაც ეხლა არის. შეცვლილ წესდების პროექტს მთავარი გამგეობა ეხლავე დაუგზავნის ფილიალ განყოფილებებს წინასწარ განსახილველად. განყოფილებებმა თავიანთი დელეგატები უნდა გამოგზავნონ თბილისში და მათი კრება გადაწყვეტილ რეზოლიუციას დაადგენს ამ საკითხის შესახებ. შემდეგ ამისა მთავარი გამგეობა მოიწვევს საზოგადოების წევრთ საგანგებო კრებაზე, რომელიც განიხილავს დელეგატთა კრების დადგენილებას და საბოლოოდ ამა თუ იმ გარდაწყვეტილებას დაადგება წესდების შეცვლის შესახებ.

✦ წერა-კითხვის გამგეობამ 8 ამა თვეს განიხილა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მიერ წარმოდგენილი საიჯარო ხელშეკრულობის პროექტი ილიასეულ საგურამოს მამულის შესახებ და შემდეგი დაადგინა: 1) მიეცეს აღნიშნულ სამეურნეო საზოგადოებას იჯარით ეს მამული 12 წლით; 2) სამეურნეო საზოგადოებამ აღნიშნულ ვადაში უნდა გააშენოს 9 დესეტინაზე ამერიკული ვაზი და 4 დესეტინა ხეხილის ბაღი; 3) სამეურნეო საზოგადოებამ საიჯარო ვადაშივე უნდა გაისტუმროს 10,500 მანეთი, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებამ დაახარჯა აღნიშნულ მამულს; 4) სამეურნეო საზოგადოებამ პასუხი უნდა გასცეს მამულზე შეწერილ სახელმწიფო, საერობო და სხვა გადასახადებს; 5) სამეურნეო საზოგადოებამ უნდა მოუაროს ტყეს და შეაკეთოს შენობები, როცა ეს საჭირო იქნება; 6) სამეურნეო საზოგადოებას უფლება ეძლევა იჯარით გასცეს მამული რომელიმე ნაჭერი, რომელიც მისთვის საჭირო არ დარჩება; 7) სამეურნეო საზოგადოებას უფლება აქვს 12 წლის გასვლის შემდეგ განაახლოს საიჯარო ხელშეკრულობა.

✦ წერა-კითხვის გამგეობამ საბოლოოდ დაადგინა 8 ამა თვეს, მორიგებით გაათაოს საქმე სოსიკო მერკვილაძესთან ეგნატე ხრამელაშვილის ანდერძის გამო ატეხილ დავის შესახებ, მაგრამ იმ პირობით, თუ სოსიკო მერკვილაძე ეხლავე შემოიტანს 500 მანეთს. ბ-ნმა მერკვილაძემ სიხარულით მიიღო ეს გადაწყვეტილება.

✦ წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობას მოუვიდა შემოსავლის 10% ჭიათურის განყოფილებისაგან 16 მან. 23 კაპ., სოჩის განყოფილებისაგან 50 მან. და ხონის განყოფილებისაგან 32 მანეთი.

✦ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის საგანგებო კრება დანიშნულია ხვალ, 11 მარტს. ამ კრებაზე უნდა გაირჩეს ის საქმეები, რომელთა განხილვა 8 მარტს ვერ მოასწრო გამგეობამ.

✦ დღეს, 10 მარტს, საღამოს 8 საათზე, მორიგი კრება ექნება ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. განსახილველია: 1) ილიასეულ საგურამოს მამულის საიჯარო ხელშეკრულობის პროექტი, 2) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და 3) მორიგი საქმეები.

✦ დღეს საჩაიე „ძმურ ნუგეშში“ გაიმართება კონცერტი, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება ქართველ ქალთა საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად.

### სასულიერო უწყებაში.

✦ საქართველოს ექსარხოსი პლატონი დღეს დილით მიემგზავრება კაბენის მონასტრის დასათვალიერებლად ბორჩალოს მაზრაში. ექსარხოსთან ერთად მიემგზავრება საქართველოს მონასტრების კეთილ მოწესრიგე არქ. ნაზარი.

✦ რომანოვის კომიტეტისაგან საქართველოს ექსარხოსმა მეომართა ოჯახთა თავშესაფარის ასაგებად მიიღო 10 ათასი მანეთი.

✦ ღარიბ სემინარიელთა სასარგებლოდ ექსარხოსმა პლატონმა 100 მანეთი შესწირა.

### ქალაქის გამგეობაში.

✦ ქალაქის გამგეობა ამ დღეებში მოხსენებას წარუდგენს საბჭოს შესახებ იმისა, რომ გადადებულ იქმნას 210,000 მანეთი ქალაქის საელექტრონო სადგურის გასაუმჯობესებლად. საჭიროა 1 მამოძრავებელი მანქანა, რომელიც დიდ სარგებელს მისცემს ქალაქს. ეს მანქანა უკვე მზად ყოფილა კოლომენის ქარხანაში და მისი შეძენა და მოტანა შესაძლებელია.

✦ 8 მარტს შემოიტანეს თბილისში: ფქვილი 39 ვაგ., შაქარი 2 ვაგ., მარილი 1 ვაგ., შეშა 29 ვაგ., ქვანახშირი 1 ვაგ., ქერი 5 ვაგ., ნავთი 7 ვაგ., დაუწმენდავი ნავთი 18 ვაგ. და ღვინო 6 ვაგ.

### მთავრობის დაწესებულებებში.

✦ კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების საზოგადო კრება, სანთლის კრიზისის გამო, ამ დღეებში მოხდა. მიწად-მოქმედების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მოახსენა კრებას, რომ მთელ იმპერიაში ეპარქიალური სანთლის ქარხნები ხარჯავენ 600—650 ათას ფუთს სანთელს. ამ რიცხვიდან გერმანიას შემოჰქონდა 200 ათასი ფუთი. საქართველოს საეპარქიო სანთლის ქარხნის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სანთლის ქარხანა 6000 ფუთ სანთელს ასაღებს წლიურად და კრიზისის გამო ფუთს სანთელს ეხლა ყიდულობს თვითონ 55—65 მანეთად, მაშინ როცა წინად, კრიზისამდე, აძლევდა ფუთში 28—30 მანეთს. კრებამ დაადგინა: 1) საზოგადოებამ თითონ მიიღოს შუაკაცობა სანთლის ფიჭის შეძენაში მეფუტკრეთაგან, კოოპერატივებისაგან და წვრილ კრედიტის დაწესებულებებიდან; 2) დაიჭიროს საზოგადოებამ მჭიდრო კავშირი კოოპერატივებთან; 3) გამოარკვიოს განსაზღვრული ფასები სანთლის ფიჭაზე, რომელიც აცნობოს კოოპერატივებს; 4) ეთხოვოს საქართველოს ექსარხოსს დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებას საექსარხოსოში სტატისტიკურ ცნობების შეგროვებაში კეთილ მოწესრიგეთა და მათ საბჭოების წყალობით და 5) საარაიონო სამოქმედოდ განისაზღვროს მხოლოდ თბილისის გუბერნია.

### მაჰმადიანთა შორის.

✦ „ნავრუზ ბაირამის“ დღესასწაულის მეორე დღეს 9 მარტს თაღიევის თეატრში მაჰმადიანთა მომღერალი მსახიობნი წარმოადგენენ ერთ მოქმედებიან მხიარულ ოპერეტკას „ალი იაშინდა ჯავან“-ს. ოპერეტკაში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები.

### სომეხთა შორის.

✦ სომეხთა სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ცნობით ბამბაკში ცხვარს ჭირი გასჩენია.

ვინაიდან ომიანობის გამო ახალ სასოფლო სამეურნეო იარაღების მოტანა შეუძლებელია და ძველი იარაღების შეკეთებაც გაძნელდა მუშა ხელის სიმცირის გამო, სომეხთა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ სთხოვა თბილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის ადმინისტრაციას, რომ მოაწყოს პრაქტიკული კურსები ძველ იარაღების შეკეთებისა სასწავლებელში. სწავლა დამთავრებულები სოფლებში დიდ სარგებლობას მოუტანენ მეზობლებს თავიანთი ცოდნით.

აღნიშნულმა საზოგადოებამ ჩრდილო კავკასიიდან დიდძალი ნერგი დაიბარა სხვა და სხვა ხეხილისა.

### დაბა-ქალაქებში.

✦ **ბათომი.** აფთიაქებში ზოგიერთა წამალი სულ გამოილია, რის გამო წამლის შემზადებაზე ბევრს უარს ეუბნებიან. კილო ქინა 700 მან. ფასობს (წინად, ომამდი, ღირდა 20 მან.) და გასაყიდიც არ იშოვება.

მშვენიერი დარი დგას. ბევრი ხეხილი ჰყვავის.

✦ **ქობულეთი.** დაბა ქობულეთში სახადმა იჩინა თავი.

✦ ამ დღეებში კოპერატივი დაიწყებს მოქმედებას. ქართველი მაჰმადიანები სიამოვნებით ყიდულობენ პაის.

---

### შეცდომის გასწორება

გუშინდელ მეთაურში **დაბეჭდილია:** ყველა ზემო ჩამოთვლილი სოფლის და სხვა... **უნდა იყოს:** ყველა ზემო ჩამოთვლილი **მიზეზის** გამო და სხვა. **დაბეჭდილია:** ყველა ამ შეღავათიან პირობებს მოკლებულ საქართველოსთვის-კი მომავალი სამოსავლო წელიწადი იქნება. **უნდა იყოს:** ყველა ამ შეღავათიან პირობებს მოკლებულ საქართველოსთვის-კი მომავალი სამოსავლო წელიწადი მეტის-მეტი უნუგეშო და სახიფათო იქნება.

---

## „საქართველოს საექსარხოსო“

(ისტორიულ-კანონიური ცნობა)

1811 წელს, ღენერალ ტორმასოვის განკარგულებით, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაში ძირითადი ცვლილება მოხდა: კანონიერი კათალიკოზი გადაყენებულ იქმნა თავის საყდრიდგან და „საკათალიკოზო“ შეიცვალა „საექსარხოსოდ“. რეფორმის ინიციატორებს აზრადა ჰქონდათ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ხსენებაც კი აღარ დაერჩინათ, მაგრამ უნებლიედ მათ ისეთი ინსტიტუტი შემოიღეს, რომელიც სულ სხვა მიზანს აღწევს. მართლაც და, რას ნიშნავს „ექსარხოსი“, „საექსარხოსო“?

ფილოლოგიურად თუ გავსინჯავთ, დავინახავთ, რომ „ექსარხოსი“ არის ბერძნული ლექსი (exarchos) და აღნიშნავს უზენაესს გამგეს ისეთი ადგილისას, რომელიც განსაზღვრულ ტერიტორიის **გარეშე** იმყოფება და მის ორგანიულ ნაწილს არ შეადგენს.

მართლაც, სამოქალაქო სფეროში ასეთი იყო ერთ დროს ეგრედ წოდებული „რავენის“, ხოლო საეკლესიოში „თესალონიკის“ საექსარხოსო.

სამოქალაქო ტერმინი „ექსარხოსი“ ბიზანტიაში გადაიქცა საეკლესიო-კანონიურ ტერმინად; იმით აღინიშნებოდა, როგორც ესა სჩანს მეოთხე მსოფლიო კრების მეცხრე და მეჩვიდმეტე კანონებისაგან, სრულიად დამოუკიდებელი, ავტოკეფალურ საეკლესიო ოლქის უფროსი, რომელსაც, ძველი ქართული მწერლობით, **კათალიკოზი** ეწოდებოდა[1]), ხოლო ბიზანტიაში, საეკლესიო ტერმინოლოგიის შემუშავების შემდეგ,—**პატრიარქი**[2]).

შემდგომ საუკუნოებში „ექსარხოსებად“ აღმოსავლეთში იწოდებოდნენ ის მღვდელ-მთავრები, რომლებიც დროებით [illegible] „დაქვრივებულ“ ავტოკეფალურ კათედრას. კერძოდ რუსეთის ეკლესიაში „ექსარხოსი“ ესმოდათ, როგორც „დროებით მცველი“ დაქვრივებულ საპატრიარქო კათედრისა. მაგალითად, ცნობილი სტეფანე იავორსკი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში, პატრიარქ ადრიანეს შემდეგ სინოდის დაარსებამდე, „საპატრიარქო საყდრის დროებით მცველი“ იყო (мѣсто—блюститель патріаршаго престола), **ექსარხოსად** იწოდებოდა.

ამნაირად, ფილოლოგიურ, კანონიურ და ისტორიულ თვალსაზრისით „ექსარხოსი“ აღნიშნავს უზენაესს გამგეს ავტოკეფალურ ოლქისას, რომელიც მეორე ოლქის გარეშე იმყოფება და მის ორგანიულ ნაწილს არ შეადგენს. მაშასადამე, ტერმინი „საქართველოს საექსარხოსო“ თვით რუსების მიერ შემოღებული არგუმენტია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობისა: ის გვეუბნება, რომ საქართველოს ეკლესიის ინკორპორაცია ჯერ არ მომხდარა, ის დღესაც დამოუკიდებელი საპატრიარქოა, მხოლოდ მას, როგორც „დაქვრივებულს“, დროებით რუსეთის „ექსარხოსი“ განაგებს.

რასაკვირველია, ღენერალ ტორმასოვს, როდესაც ასეთ სახელს იგონებდა, სულ სხვა ჰქონდა აზრად, მაგრამ ჩვენ კი, ვინაიდგან მას საეკლესიო ისტორიისა და კანონების არა გაეგებოდა რა, მეტი საბუთი მოგვცა ჩვენი პრეტენზიების გასამართლებლად. ტორმასოვის უნებლიეთი შეცდომა შეიგნეს ვოსტორგოვმა და სინოდის დღევანდელმა წევრებმა და მოინდომეს იმის გამოკეთება: როგორც ვიცით, იმათ განუზრახავთ „საქართველოს საექსარხოსოს“ გაუქმება და მის მაგიერ „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის“ შემოღება; ამ ოლქის მეოხებით მოხდება ჩვენი ეკლესიის ინკორპორაცია და მისი დღევანდელი სახის წარყვნა. აქედგან ცხადია, რამდენად საჭიროა დროებით, სანამ ჩვენი ეკლესიის კანონიურ უფლებათა აღდგენის საკითხი არ გადაწყვეტილა, არსებულ ინსტიტუტის—„საექსარხოსოს“ დაცვა და შენარჩუნება.

დეკ. კორ. კეკელიძე.

1) იხ. ჩემი გამოკვლევა—„Iерусалимскій Канонарь“, стр. 246—248.

2) „Правила православной церкви съ толкованіями Никодима, епископа Далматинскаго и Истрійскаго“, т. I, стр. 352. აგრეთვე—პროფესორა В. Болотова—Лекціи по исторіи древней церкви, т. III, стр. 216—222.

---

## რა დავაშავეთ?

ჩემს წინ გადაშლილია გაზეთები, სადაც ჩვენი ძვირფასი სტუმრების, აჭარლების პატივსაცემლად გამართული ზეიმი ისეთის ზე-აღმტაცი გრძნობებითაა მოთხრობილი, რომ უნებურად მომეწურა გული შურით და უნებურადვე ამომხდა გულის სიღრმიდან ეს მწარე კითხვა. და განა რა დავაშავეთ ჩვენ, ქალებმა, მათ წინაშე, ვინც თავს იდო ამ ზეიმის მოწყობა, რომ მოგვაკლეს ბედნიერება ისეთი ტკბილი გრძნობების განცდისა?!

„სტუმრობა მათი და ჩვენი დახვედრა მართლა იმიტომ კი არ იყო საზეიმო, რომ ჩვენებურად, ქართველურად ერთად გავხსენით უხვ მასპინძლის გრძნობიერი გული, არამედ იმიტომ, რომ ამ დღეს ერთხელ კიდევ იფეთქა სალმა, მიძინებულმა ეროვნულმა სულმაო“.—ვკითხულობთ ალაგას.

„შეუძლებელია გრძნობათა სრული ფარდის ახდა. ნადიმი ღირსი იყო ეროვნულ გრძნობათა ზეიმისაო“. ვკითხულობთ მეორე ალაგას და მწარე კითხვას ემატება კიდევ კითხვა: რაღა დავაშავეთ ჩვენ, რომ სწორეთ ჩვენ ვერ განვიცადეთ იმ ეროვნული სულის აფეთქება, ეროვნულ გრძნობათა ზეიმი?!

და რა დავცინეთ, მწარე დაცინვათ მომეჩვენა აქვე ჩემს თვალ წინ გადაშლილი, ერთი პატივცემული მუშაკისაგან აჭარიდან მოწერილი წერილი: „ქართველო ქალებო! ქალის ხვედრია საქართველო, ქალმა შემუსრა კერპი საქართველოში, ქალმა შესძლო საქართველოს გაერთიანება და მისი აყვავება. დიდია ქართველი ქალის ღვაწლი სამშობლოსადმი. სამაგიეროდ ქართველ ქალს უმაღლეს პატივს სცემდა ქართველი კაცი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მამაკაცი დედაკაცს პატივს სცემდა (და დღესაც სცემს) ასე არა ერი არ სცემდა პატივს მდედრობითი სქესს“. ქართველი ერის ყურადღება დღეს აჭარაზეა მიჯაჭვული. ქართველმა ქალებმაც მოლოდინს გადააჭარბეს და ჩვენს მოძმე მუსულმანებს გულის მოსახი საქმე მათაც ბევრი გააკეთესო“, განაგრძობს ასე და გვამცნებს აჭარლების საქმეს, მათ დახმარებას.

და თუ ასეთია ჩვენი როლი წარსულში და აწმყოშიც, თუ ასეთია ჩვენი შრომაც მოძმე აჭარლებისადმი, მაშ რით აიხსნება ის საქციელი, რომ დაგვიხშეთ საშუალება ჩვენის თვალით გვეხილნა ძვირფასი ძმები, ჩვენის ხელით შევხებოდით მათ მარჯვენას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენის პირით გადაგვეცა მათთვის ყველა ის გრძნობანი, რომლითაც სავსეა ჩვენი გული და რასაც განიცდის ჩვენი სული, მათის ხსენებით რომ ცხადად წარმოვიდგენთ ხოლმე ჩვენს დიდებულ წარსულსა და ბედ-შავს აწმყოს!

ხშირად გვესმის ხოლმე თქვენგან და მეტადრე სადღეგრძელოების რახირუხის დროს, რომ ქართველი ქალი იყო ბურჯი ჩვენი ერის არსებობისა და მომავლის მჭედავიც ის არისო.

მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, ბატონებო, სად და როგორ უნდა გამოიბრძმედოს ქართველი ქალი ასეთი დიადი როლისთვის? ქუჩა-ქუჩა ბილეთების გაყიდვითა? ლოტოს თამაშობითა? ან და იქნება მით, რომ ნადიმზე მოწვეულ ვინმე უცხო სტუმარს გვერდით მოუსვამთ, რომ თვისი კეკლუცი ლიკლიკით უფრო მეტად ასიამოვნოს?

სად და როგორ უნდა გამოიჩინოს ქალმა თვისი ზნეობრივი, თუ გონებრივი ძალა, ნიჭი და უნარი საზოგადო მოქმედებისა?

კარგად იცით, რომ ასპარეზი ანვითარებს ყოველ ბუნებრივ ნიჭსა და ჰქმნის მოღვაწე ადამიანსა. და სად ჰპოვოს ქართველმა ქალმა ეს ასპარეზი?

ჩვენში ბევრჯელ უთქვამთ, რომ ქართველ ქალს არა სჭირდება ემანსიპაციისათვის ბრძოლა, ის ყოველთვის ყოფილა მამაკაცის მხარში ამომდგარი და ეხლაც არისო.

რა ცრუ არის ესეთი შეხედულობა! აბა მითხარით ერთი, სად არის ქალი საზოგადო შრომაში გვერდში მდგარი მამაკაცთან? გადაავლეთ თვალი ჩვენს კულტურულ დაწესებულებათ. რიცხვით საკმარისად ბევრია. და ყოველ მათგანში საქმის მმართველად ზოგან 7 და 12 კაცში ჭაჭანება არ არის ქალებისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგს გამგეობასთან დროებით დაარსებულ კომისიებს ნივთიერი მხრის საზრუნავად, ე. ი. ისევე ბილეთების გასაყიდათ! და მაშ სად უნდა იყოს მოქმედება ქალისა, მომზადება და წრთვნა მისი ისეთი დიდი როლისათვის მომავალში? პიესაში ხომ ვერ დაიწყებს ციბრუტივით ტრიალსა და ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე კი ამ დაწესებულების კედელთ შორის მუშავდება და სრულდება და ნეტა თუ სჯერა ვისმე, რომ ამ დაწესებულების გამგეობათა იმოდენ მამაკაცებში ისეთი არავინ ურევია, ბევრით რომ ჩამოუვარდება, ბევრი ქალს საქმის სიყვარულსა, ცოდნასა, თუ მუშაობაში! ან რა უყოთ, რომ შედარებით ზოგი მათგანი სუსტიც იყოს? მამაკაცებთან ერთად შრომა საზოგადო საქმეებში ერთგვარი შკოლა მაინც იქნება მისი ეროვნული სულის განმტკიცებისა, ეროვნული მოვალეობის შეგნებისთვის. და განა ეს ცოტაა, თუ მართლა ასეთს იმედებს ამყარებთ ქართველ ქალზე?

არა, ბატონებო, ის რაც იყო ქართველი ჩვენს წარსულში, მათ წამქეზებელ იმ დროის მამაკაცებთან ერთად ისტორიად დარჩება, ვინაიდგან მომავლისთვის მას თქვენ არ მისცემთ ფართო გზას მასში ეროვნული შეგნების განმტკიცებასა და მოქმედებისათვის.

დღეს თუ აკეთებს რასმე ქალი, მხოლოთ გამოცალკევებით მამაკაცებისგან და ერთობა მუშაობისა უმეტეს ნაწილად გამოიხატება იმაში, რომ თქვენ მათ კრებას დაესწრებით და უფროსის დაყვავებისა და წახალისების კილოთი ტაშს დაუკრავთ, ბარაქალა, ქალებო, საქმეს კარგად უძღვებითო!

ამ გვარ, ერთმანეთისაგან გათიშულ მუშაობასა და პირბადეს აფარებაში დიდი განსხვავება მაინც და მაინც არაა!

მშვენიერი ნათქვამია ეს ანდაზა ქართველ პატარძალზე: „კარგმა სახელმა, კარგმა კარმა—კარგად გამომიყვანაო, ავმა სახელმა, ავმა კარმა—ავად გამომიყვანაო“. ქართველ ქალსაც ეს ეთქმის სწორეთ თავის თავზე და დასძენს იმას, რომ ზოგი ერი უბედურად სთვლის თავის-თავსა იმ ნაკლის გამო, რომ ცოტა ჰყავს მას შეგნებული ქალები და ჩვენში კი...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ იმ ზეიმსა. ჯეწვევნენ უძვირფასესი სტუმრები. იმათ ჩვენზე ნაკლებად არ იციან, რომ ქალი და კაცი ჭირსა და ლხინში ერთადა ვართ და სწორეთ ასეთ მასპინძლობის, სწორეთ ასეთი იშვიათი სტუმრების დროს კი დიასახლისი არსად არის! და ვაი სირცხვილო, რომ თითონ იმათ გამოსთქვეს თურმე წუხილი, ვერავინ ვერ ვნახეთ ჩვენი მანდილოსნებისო!

განა ჩვენი ასეთი არაფრად ჩაგდება და ისეთი დიდი როლის მოკისრება შეეფერება ერთმანეთს?

ღმერთმანი, რომ არც იმ ზეიმზე შეგარცხვენდათ თქვენი ქალი და რად დასწყვიტეთ მას გული? ხომ იცით და თუ არ იცით, იცოდეთ, რომ ის ღრმადა გრძნობს თავის მოძმეთა დაბრუნების სიხარულს, მზად არის თავი შესწიროს მათ კეთილდღეობას და მაშ რათ წაართვით მათ სიამოვნება თქვენი ერთად თავ-მოყრისა, აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და ტკბილ გრძნობათა გადაშლის განცდასა?!

დამიხედეთ, ეროვნული ზეიმი და უდედებოთ? რა დავაშავეთ?

შეინანებდეთ მაინც, შეინანებდეთ!

**ნინო ყიფიანი**

## სალამი ქართველ მუსულმანებს

ქართველობა გასწირა მუხთალმა წუთისოფელმა, მაგრამ იხსნა განგებამ. დიდი ხნის დაშორებულ ძმათა დასაახლოვებლად ორჯერ მოგვევლინა განსაცდელი ორჯერვე ომის სახედ.

ბევრი რამ გვმართებს თქვენა. რაც რამ სიკეთე გაგვაჩნია, რითაც კი თავი მოგვწონს სხვა ერთა წინაშე, შეგვძინა იმ თემმა და იმ კუთხემ, რომლის შვილებადაც თქვენც ითვლებით. დიახ ბევრი რამ გვმართებს, მაგრამ ვალი ჯერ კიდევ მთლად ვერ გადაგვიხდია.

გულს მიხარებს, რომ თქვენი შვილები სწავლობენ ჩვენს გიმნაზიებში. უნებურად მაგონდება ის სანატრელი დრო, როცა საქართველოთ სხვა თემთა შვილნი ქალნი, თუ ვაჟნი მოდიოდნენ ქართული სწავლის მისაღებად თქვენ წინაპართ სასწავლებელში, როგორც მაგალითად ხახულს, ტბეთს, შატბერდს, მერეს და სხვაგან.

ჩვენი დაახლოვება ამ ჟამად იმდენად გამტკიცებულა, რომ აღარ დაგვჭირდება, ღვთით, ახალი ომის განსაცდელი. დღეს ჩვენი და თქვენი გამყოფი მხოლოდ რჯულია, მაგრამ თქვენი სარწმუნო ისლამი და მუსულმანი ერები ჯერ კიდევ თქვენმა სახელოვანმა შვილმა დიდებულმა ბრძენმა შოთა რუსთაველმა გაგვაცნო თავისი უკვდავი ვეფხის ტყაოსნითა.

ხალხი, ვეფხის ტყაოსანში მოხსენებული, ღმერთსა და მუსაფს მიჰნდობია, მაგრამ ქრისტიანე ქართველობა დღესაც მოწიწებით ქედს იხრის ამ საოცარი ქმნილების წინაშე. ჩვენი შემაერთებელი ამიერიდგან უნდა იყვეს სული და სიბრძნე ვეფხის ტყაოსნისა, ხოლო თქვენ ჩვენთვის—გზად და ხიდად სხვა ტომის მუსულმან ერებთან კავშირის და მეგობრობის ჩამოსაგდებად. აი მოციქულებრივი მოღვაწეობა, რომელიც ბედმა გარგუნათ.

თქვენი რჯულის სიმტკიცედ მე გითარგმნეთ ყურანი, რაკი ეს საშვილიშვილო საქმე შთამაგონა თვით ამ წმინდა წიგნმა, სადაც დიდებულმა წინასწარმეტყველმა მუჰამედმა უბრძანა არაბებს, მე გიბოძეთ ყურანი არაბულის ენით, რათა უფრო გასაგები ყოფილიყო თქვენთვისაო.

სასწავლებლები, რომელიც უნდა დაიხსნას თქვენს ქვეყანაში თავდებია ჩვენი ერთობის უზრუნველ ყოფისა.

ვინატრი, ქართული სწავლა განათლება და ღვთისა და მუსაფის მინდობა თქვენი და თქვენი შვილების სულის დგმა ყოფილიყოს.

**პეტრე მირიანაშვილი.**

## სიტყვა

(ყოროლის სკოლის კურთხევაზე წარმოთქმული).

უმმეთი მუჰამმედიანნო მეზობლებო ქართველო მუსლიმანებო!

მრავალ წამებულს ჩვენს ძმებს, რომელიც მოწყვეტილი იყო დედის თბილ მკერდს, ტკბილ ძუძუს, რომელსაც რამოდენიმე საუკუნეა არ მოუსმენია მშობლიური ტკბილი ნანინა. არ უმღერია მშობლიურ ტკბილ ჰანგზე და არ უწოვნია დედის ტკბილი ძუძუ, მას დღეს ეღირსა, ჩვენ ღვიძლ-ძმებ ქართველ ქრისტიანების დახმარებით, იმ ტაძრის საძირკვლის ჩაყრა, სადაც ჩვენი ახალი თაობა, ჩვენი მომავალი, გაიკვებება, აღიზრდება ტკბილ დედის ძუძუთი და მით, მათ ჩაედგმებათ განწმენდილი მშობლიური ენა და ამ ენით კი დაიწყ ს ჭიკჭიკს და სტვენას, ჩვენს დროებით მიძინებულ ველმინდვრების გასალვიძებლათ და გასამხიარულებლათ. იმ ველ-მინდვრების რომლებსაც ერთ დროს ჰქვა-ქუხილი გაჰქონდა და რომელსაც ერთ დროს მისი რაინდნი შვილნი უდგნენ გვერდში ფხიზელ დარაჯათ და მასთან ერთად, სტვენა ჭიკჭიკით ატკბობდნენ მას. დღეს კი ამ რაინდებს, ამ მიდამოების ფხიზელ დარაჯთ, სძინავთ საფლავებში, საიდანაც გულ-ნაღვლიანნი შემოგვცქერიან ჩვენ, გვევედრებიან და გვთხოვენ, რათა მათი მიძინებული ძვირფასი მიდამოები, რომლებსაც ამდენი ძილისაგან სადაც არის ფერიც გაშვებიათ, მოვალხინოთ ვუჭიკჭიკოთ მშობლიურ ჰანგებით, რათა ისევ ძველებურათ ავახმაუროთ და ავაშრიალოთ. ჩვენი წარსული გმირნი, დღემდის ჩვენზე უიმედობით ილაჯგაწყვეტილნი და დღეს კი იმედით აღჭურვილნი, დიდ სიხარულს განიცდიან, რადგანაც დღეს ისინი გრძნობენ, რომ უკვე ჩაეყარა საძირკველი იმ ტაძარს, რომელმაც უნდა აღზარდოს მათდა სადმერთებელ მიდამოების, მოჭიკჭიკენი და მომღერალნი.

მაშ ასე უმმეთი მუჰამედიანნო, მოვკიდოთ ხელი სწავლა-განათლებას და მით გავსწყვიტოთ ჯაჭვი მონობისა მაგრათ ჩავჭიდოთ ხელი ძმებმა ერთიმეორეს ვიმხიარულოთ და მასთან ერთათ ავახმაუროთ და ვამხიარულოთ დღემდის მიძინებული ჩვენი მიდამოებიც.

ხომ ხედავთ, მეზობლებო, ჩვენი ღვიძლი ძმები ქართველი ქრისტიანები როგორი თავდადებით და თავ განწირვით იბრძვიან ჩვენთვის, ჩვენდა საკეთილდღეოთ. ჩვენმა ძმებმა, დღეს ჩვენ დაგვიმტკიცეს ნამდვილი ძმობა, სიყვარული და ერთგულობა. ამაზე მეტის გაკეთება ძმას ძმისთვის აღარ შეუძლია. მაგრამ, ჩვენ მაინც ნუ მოვერიდებით სირცხვილს და უთხრათ ჩვენს ძმებს, რომ ჯერ თქვენ არაფერი გაგიკეთებიათ ჩვენთვის, დღემდის თქვენი გაკეთებული ჩვენ უმცროს ძმებისთვის ზღვაში წვეთიათქო. ჯერ კიდევ უნდა გვიპატრონოთ. გაგვიძეხით წინ და გაგვიყვანეთ ნათელ გზაზე, რომ მით ჩვენც, თქვენთან ერთათ გავწიოთ საერთო ტანჯულ ცხოვრების მძიმე უღელი, რომლითაც გავახარებთ ჩვენს ტანჯულ-სამშობლოს და მასთან ერთად გავახარებთ ჩვენს წარსულ გმირებს, ტურფა სამშობლოსათვის წამებულებს.

მაშ, ვუსურვოთ გამარჯვება პირველ—მერცხალს დღევანდელ ეროვნულ სკოლას.

**ჰაიდარ-ბეგი აბაშიძე.**

## მაჰმადიანთა ცხოვრება

„ნევრუზ ბაირამ“.

8 მარტს „ახალ კლუბის“ დარბაზში მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების ინიციატორობით გაიმართა საზეიმო შეხვედრა მაჰმადიანთა ახალ წლის „ნევრუზ-ბაირამისა“. ზეიმს დაესწრენ მაჰმადიანთა სასულიერო და სამოქალაქო დაწესებულებათა, მთავრობისა და ქართულ სხვა და სხვა საზოგადო ორგანიზაციათა წარმომადგენელნი და მრავალი მაჰმადიანნი ქალნი და კაცნი. ზეიმზე შუადღისას მოვიდნენ თბილისის გუბერნატორი ბ. მანდრიკა სპარსეთის საგენერალო კონსული მირ-ჰასან-ხან-სადიოლ. მოლკე, ხან მაკინელი, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აფხაზი და ქართულ პრესის წარმომადგენლები და სხვა საპატიო პირნი.

ზეიმი დაიწყო ლოცვით რომელიც გადიხადა კავკასიის მუფტიმ ალაედინ-ეფენდიმ, რომელმაც იქ დამსწრეთ სიტყვით მიმართა და აუხსნა დღის მნიშვნელობა. შემდეგ გრძნობიერი სიტყვით მიმართა გუბერნიის მარშალმა თ-დ კ. ნ. აბხაზმა და მიულოცა ახალი წელი, თავად-აზნაურობის მხრით. საპასუხო სიტყვით თ-დ აბხაზს უპასუხა მადლობით ე. ზ. სულთანოვმა. შემდეგ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მხრივ სიტყვით მიმართა პ. ა. გოთუამ, „სახალხო ფურცლიდან“ ი. გოგოლაშვილმა, „თეატრი და ცხოვრებიდან“ ი. იმედაშვილმა, ქართველ მაჰმადიანთა მხრივ მამედ-ბეგ აბაშიძემ, ხოლო გაზეთ „საქართველო“-ს მხრივ განსაკუთრებულმა დეპუტაციამ, რომელშიაც შედიოდნენ ს. მ. კედია, შ. ვ. ქარუმიძე და თ-დი ი. გ. ციციშვილი. დეპუტაციამ საზოგადოების სასარგებლოდ თავისი წვლილი გადასცა საზოგადოების თავმჯდომარეს და დღის შესაფერი სიტყვით მიმართა. სამადლობელი სიტყვით ორატორებს უპასუხა საზოგადოების თავმჯდომარემ მამედ-ალა ვექილოვმა იმ ძმურ თანაგრძნობისათვის, რომელიც მათ განუცხადეს. შემდეგ გაიმართა სცენაზე ლეკური. ზეიმმა საღამოს 6 საათამდე გასტანა.

## ზუბალაშვილის სტიპენდიები

მოსკოვის ქართველთა საზოგადოების გამგეობამ სათანადო კონკურსის შემდეგ ერთხმად დაადგინა,—მისცეს ლევან ზუბალაშვილის მემკვიდრეთა მიერ დაარსებული სამი სტიპენდიუმი (ექვსასი მანეთი წლიურად) დანიშნული იმ მოსკოველ ქართველთათვის, რომელნიც შრომობენ ქართული მეცნიერების, მწერლობის და ხელოვნების დარგში,—შემდეგ პირთ: დიმიტრი არაყიშვილს, გრიგოლ ვეშაპიძეს და ტიტე ტაბიძეს.

## სასულიერო კონცერტი

კვირას, 13 მარტს, ქართულ კლუბში გაიმართება სასულიერო კონცერტი სასულიერო სემენარიის მგალობელთა გუნდისაგან, რომლის შემოსავალიც განაწილდება გაჭირვებულ მოწაფეთა შორის; ეს კონცერტი მარტო იმით კი არ არის საყურადღებო, რომ საქველმოქმედო მიზანი აქვს დასახული, არამედ იმითაც, რომ ამ საღამოს შესრულებული იქნება მთელი რიგი იმ საგალობლებისა, რომლებიც დღევანდლამდე ქართულ ეკლესიაში არ იგალობებენ, არამედ კითხვით ითქმიან. აი ეს საგალობლები უნდა მოისმინოს ქართველმა საზოგადოებამ და მით უმეტეს ჩვენმა სამღვდელოებამ, რომელიც ერთი ორად უნდა იყოს დაინტერესებული. საზოგადოთ ქართული გალობა დღევანდლამდის უგულებელ ყოფილია მცოდნე პირთაგან, რომლებიც თითზედ ჩამოითვლებიან,—არ ვიცით იმისთვის რომ იგინი ამ დარგს საუნჯეთ არა სთვლიან, თუ სხვა რამე მიზეზით, ხოლო ეს კია ჩვენდა სამწუხაროდ, რომ ჯერ ქართული გალობა ხელუხლებელია და იგი მუშასა და ყურის მგდებელს ელის. თუ სასულიერო კონცერტები ჩვენში იშვიათია და ჩვენი მემუსიკენი ამ დარგში უგულოდ ირჯებიან და გაუბედავათ ადგამენ ნაბიჯს, ქართველმა საზოგადოებამ და სამღვდელოებამ თავის ყურადღებით ამ კონცერტისადმი მაინც დაუმტკიცოს მათ, რომ ეკლესია და მისი გალობა მათთვის საუნჯეა და ყოველნაირ მუშაობას და მომუშავეს ამ დარგში იგინი აფასებენ და უყურადღებოთ არ ეპყრობიან.

## დ. ი. არაყიშვილი

როგორც გვატყობინებენ მოსკოვიდამ ჩვენ ცნობილ კომპოზიტორს და ჩვენი ხალხის მუსიკალურ შემოქმედებისა დიდ მცოდნეს დიმიტრი არაყიშვილს რამდენიმე არასასიამოვნო შემთხვევა ჰქონია ამ ბოლო ხანში. ჯერ იყო და მოსკოვში მომხდარ ველურ ამბების დროს ბრბომ დაანგრია ნოტების საბეჭდავი სტამბა და ახალი შრომა დიმიტრისა—ქართულ მუსიკის შესახებ ერთიანად დაშალა. დღეს მეორედ აუწყვიათ და ჩვენი კომპოზიტორი იმედოვნებს მაისში გამოუშვას ეს ახალი წიგნი.

ნოემბერში დიმიტი ტრამვაის კატასტროფას მოჰყოლია. მკლავი და შუბლი საშინლად დაშავებია. შემდეგ გაციებულა და ორი კვირით ლოგინად ჩავარდნილა. ეხლა კარგა გრძნობს თავს და კვლავ განაგრძობს თავის სიმპატიურ მოღვაწეობას. ზამთრის განმავლობაში წაუკითხავს რამდენიმე მოხსენება და, როგორც ქართულ სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარეს, გაუმართავს რამდენიმე შინაარსიანი საღამო, სხვათა შორის ბალმონტის საღამოც. რაც შეეხება კომპოზიციას, დიმიტრი ასე ოხუნჯობს მეგობართან წერილში: სიძვირემ ისე შეგვავიწროვა, რომ ოთახებში მეტად შევჯგუფდით, აქ კი ისეთი ჟივილხივილია ბავშვებისა, ისეთი კომპოზიცია, რომ რეტს დაასხამს კაცსაო. ასე ხუმრობს ჩვენი დიმიტრი. ეს კი მისი ჩვეულებრივი თავმდაბლობაა.

## პედაგოგიური ჟურნალი

ამ თვის დამლევიდან ქუთაისში გამოვა ყოველ-კვირეული პედაგოგიური ჟურნალი „სკოლა და ოჯახი“, რომელიც იქნება პროგრესიული მიმართულებისა, უპარტიო. თანამშრომლებად მოპატიჟებული არიან ყოველი ჯგუფის საუკეთესო ძალები, როგორც ქუთაისიდან, ისე თბილისიდან, ბათომიდან, ფოთიდან და სხვა ქალაქებიდანაც. ყველას დაეგზავნა სარედაქციო კოლეგიის მიერ მოსაწვევი ბარათები. როგორც ამ ბარათებში ვსთხოვთ, ვინც ისურვებს სახალხო მასწავლებელთა ჟურნალს სამსახური გაუწიოს, დაგვავლოს და 15—20 მარტამდი გვაცნობოს თავისი სურვილი და ნებართვაც მოგვცეს, რომ ჩვენი ჟურნალის პირველ ნომრებში გამოვაცხადოთ მათი სახელი და გვარი, აგრეთვე მოგვაწოდონ იმ დრომდი დასაბეჭდი მასალებიც.

ამასთანავე მივმართავთ სახალხო მასწავლებლებს და ქუთაისის გუბერნიის სახ. მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების ფილიალურ განყოფილებებს და ვსთხოვთ, შეკრიბონ ხელის მომწერნი; ამისათვის საჭირო იქნება განყოფილებებმა ყოველ მაზრაში დანიშნონ აგენტი, რომელიც მიიღებს თავის-თავზე ამ წელში ჟურნალის გამოსაწერ ფულის შეკრებას 2—4 მანეთამდი და ერთად გამოგზავნის ან გამგეობის მოლარის—იასონ ნიკოლაიშვილის სახელზე ქართულ გიმნაზიაში, ან ქუთაისის ქალაქის მესამე სკოლაში, ხაზინის პირდაპირ, თვითონ რედაქტორ-გამომცემლის ვლ. ნაცვლიშვილის სახელზე, რომელსაც აგრეთვე უნდა გამოეგზავნოს ჟურნალში მოსათავსებელი ყოველ-გვარი მასალაც. აგენტებს გაეგზავნებათ ერთად ჟურნალები ხელის მომწერთა დასარიგებლად თავის რაიონში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მასწავლებლები, აღფრთოვანებით შეეგებებიან ჟურნალის გამოცემის საქმეს, ვალდებულად გახდიან თავიანთ-თავს გამოიწერონ, რათა საშვალება მოგვცენ დროზე გამოვსცეთ იგი.

**სახ. მასწავ. ლადო ბზვანელი.**

## მინისტრ ხვოსტოვის საქმე

## სიტყვა

**წ. კ. გ. საზ. მთავარ გამგეობის წარმომადგენელის ლ. ბოცვაძისა შიო მღვიმელის დღესასწაულზე 14 თებ.**

„პატივცემულო შიო! წ. კ. გამ. საზოგადოება სალამს გიძღვნის და გილოცავს 30 წლის მხნეობით მუშაობას ჩვენი ნორჩი საყმაწვილო მწერლობის ასპარეზზე.

ჩვენი ბავშვები, ნორჩნი არსებანი, მომავალი იმედნი შენს ტკბილს ლექსებზე სწავლობენ დედაენას და იმავე დროს ზნეობრივადაც ფაქიზდებიან, იძენენ ნაზ გრძნობებს, თავისი ერისა და სამშობლო ქვეყნის უანგარო სიყვარულს. და ამ გრძნობით აღჭურვილნი, უკვე დავაჟკაცებულნი მზად არიან თავგანწირვით იბრძოლონ, ქვეყნად სიმართლისა და სიკეთის დასამყარებლად.

როცა ქვეყნად შური, მტრობა, სიძულვილი, ერთურთის გაუტანლობა, საზიზღარი მონობა და სხვა მრავალი ბოროტება მძვინვარებს, როცა საზოგადოება უკურნებელ სენს შეუპყრია და დოსტაქარი არსაიდან სჩანს, რომ ეს საზოგადო წყლული განკურნოს და დაავადებულს ერს მხსნელად მოევლინოს, ყველა შეგნებული ქვეყნის მოკეთე და გულშემატკივარი მომავლისკენ იცქირება, იქ ეძიებს ერის წყლულის განკურნებას, ცდილობს მომავლის იმედი, მოზარდი თაობა ააცდინოს მოლიპულს გზას, გაუკვლიოს გზა ცხოვრებისა და აღზარდოს ქვეყნის მოკეთე მოქალაქეებად. ყველა გონიერს მამულიშვილს ეს მიაჩნია უპირველეს საგნად და ქვეყნისთვის საუკეთესო სამსახურად.

შენც, ჩვენო შიო, ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში, შენის ნიჭით ამ წმინდა საქმეს ემსახურებოდი. უჩინარი იყო შენთვის ეს შრომა, მაგრამ ხედავ ნაყოფს ამ უჩინარი შრომისას?! ხედავ რამდენს ყმაწვილკაცობას, დიდს და პატარას მოუყრია თავი **ძია შიოს** გარშემო და გულწრფელს მადლობასა და სალამს უძღვნის მას!

დეე, ამ გულწრფელმა, დიდებისა და პატარების მიერ მოძღვნილმა სალამმა და მადლობამ აღძრას შენს გულში მეტი მხნეობა, მეტი აღმაფრენა, გაგიორკეცოს ძალა და ენერგია, რომ შენის ზეგარდმო მადლით ბოძებული ნიჭით კიდევ მრავალს წელს ემსახურო ჩვენს ღარიბ საბავშო მწერლობას. მიიღეთ ეს მცირე წვლილი წ.-კ. საზოგადოების მიერ კეთილის გულით მოძღვნილი, იშრომეთ, იღვაწეთ და იდღეგრძელეთ მრავალ-ჟამიერ!

## ქართველ ექიმთა საყურადღებოდ

ჩემი აზრი ტფილისში ქართველ ექიმთა საზოგადოების დაარსების საჭიროებისა, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ № 12 ბ-ნ კაპანაძის მიერ

იყო დაახლოვებით გადმოცემული, ჯერჯერობით დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", მას არ გამოეხმაურა არც ქართული პრესა და არც ამხანაგი ექიმები. მაშინ, როცა ეს საკითხი თავის პირველ ხარისხოვნობით, ჭეშმარიტად, საჭირბოროტოა და მნიშვნელობას არ არის მოკლებული. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ამ ჟამად ცხოვრება ისეთი ჩქარი ტემპით მიაბიჯებს წინ, ისე ღრმად და და ელვარებრ იცვლება მისი ომამდის ყოფილი სახე, რომ არაჩვეულებრივი სიფხიზლე და შეგუებაა საჭირო, რათა ცხოვრების სვლას უკან არ ჩამოვრჩეთ, მისგან გარიყული არ შევიქნეთ. დიაღაც მკაცრი იქნება სინამდვილის მსჯავრი თუ კი ძველებურის ფხით დავხვდებით ახალს გარემოს.

მე, მგონია და ყველა ქართველი უნდა დამეთანხმოს, რომ დღეს ჩვენს წინაშე (და განა მარტო ჩვენს წინაშე!?) ყოფნა-არყოფნის საკითხია აღმართული; ეროვნული არსებობისათვის ბრძოლამ უმწვერვალეს წერტილს მიაღწია; და ჩვენი ვალია ყოველივე ამას ღრმად ჩავუფიქრდეთ. დღესავით ცხადია, რომ, თუ ყველა კულტურულ სფეროში არ გავიმაგრეთ პოზიციები შესაფერი ალღოს აღებით, წაგვლეკენ, გზიდან ჩამოგვიცლიან და ჩვენს ადგილს მომზადებული ელემენტი დაიკავებს; ასეთი გახლავთ ცხოვრების ულმობელი კანონი და ჩვენცა გვმართებს მეტი ფიქრი და მეტი საქმიანობა.

შექმნა და გამტკიცება ცხოვრების ყოველს დარგში კულტურულ პოზიციათა—აი ლოზუნგი, რომელიც უნდა აღიბეჭდოს ყოველი შეგნებული ქართველი მოღვაწის გულში ჩვენი ნაციონალური სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

ამ წერილში კი მე მინდა მკითხველის ყურადღება, განსაკუთრებით კი ამხანაგ ექიმების მივაქციო ისეთს დარგს რომელსაც უფრო ვიცნობ—სახელდობრ მედიკურს.

განა სევდის მომგვრელი არ არის ის მოვლენა, რომ ჩვენს ქვეყანაში, რომელიც თვისი განსაკუთრებული კლიმატიური თვისებებით მსოფლიო აგარაკი უნდა იყვეს, ასე მაგრად გაუდგამს ფესვი საშინელს ავადმყოფობას, როგორიც არის ჭლექი, და დღითიდღე გვაცლის ხელიდან დაუღალავ მუშაკთ, სამშობლოს კანდელთ? საკმაოა გაიხსენოთ ა. ჯორჯაძე, ვაჟაფშაველა, ჯაფარიძე, ალ. წულუკიძე, ან ჩვენი პოეტი ევდოშვილი, რეჟისორი შალიკაშვილი და მრავალი სხვა, რომ თქვენს გულში მწარე ნაღველმა დაისადგუროს. თვალი გადაავლეთ მოსწავლე ახალგაზრდობას, მათს მკრთალსა და სასო-მიხდილს სახეს, გაიგეთ, რომ მათში დიდი ნაწილი ფილტვების ტუბერკულოზით არის ავად და ჩემთან ერთად თქვენც იკითხავთ:

რად ხდება ეს ასე, რად ნეტარებენ ჭლექის ბაცილები ჩვენს ქვეყანაში?

და მარტო ამ საკითხის ჯეროვანი შესწავლით რომ შემოეფარგლა თვისი საქმიანობა მომავალს ქართველ ექიმთა საზოგადოებას, დამერწმუნებით, იგი ამით უმაღლეს საშვილიშვილო მისიას შეასრულებდა.

ვერ მიმითითებთ ერთსაც კი ისეთს მხარეს, სადაც მრავალ ფეროვნობით უხვსა და მდიდარს ბუნებაში, ამდენი განმკურნებელი მადნეული წყაროები იყვეს, როგორიც ჩვენში, საქართველოშია.

ვინ შეისწავლა მათი განმკურნებელი თვისებანი? ვინ სცადა მათი გამოყენება ჩვენი სნეულების საჭიროებათათვის?

აი საკითხები, რომელთა მეცნიერულად შესწავლა ფართო მოედანს მისცემდა ჩვენს ექიმებს თვისი ერუდიციაც გაეღრმავებიათ და საქმითი (პრაქტიკული) ნაყოფიც მოეტანათ.

რამდენი ასეთი ცხოველ-მყოფელი საკითხები მოინახებოდა დაუბოლოებრივ, რომ საჭირო იყოს ახალა ყველა მათი ჩამოთვლა.

აღნიშნული საქმითი საკითხების ჯეროვანად დაგვირგვინება აუცილებლად დამოკიდებულია მთელი საქმის ფართო მეცნიერულს ნიადაგზე დაყენებისაგან; და ეს კი შესაძლებელია, თუ კი შეიქმნება მეცნიერული მედიკური ცენტრი. და მე მგონია, რომ აღნიშნულს ქართველ ექიმთა საზოგადოებას შეეძლო სრულიად თავისუფლად ეკისრა ასეთი როლი.

მაგრამ მკითხავენ: ამისათვის ხომ საჭიროა დაარსება მეცნიერული ლაბორატორიებისა, საჭიროა თანხა და საკმაოდ მოზრდილიც და სად უნდა ვიშოვოთ იგი? მე მგონია, ეს საკითხი არც თუ ისე ძნელი გადასაჭრელია, როგორც გვეჩვენება პირველის შეხედვით.

მე რასაკვირველია, ამ საკითხს აქ დაწვრილებით არ გამოვეკიდები და ეს ახლა არც შესაძლებელია. მე მივუთითებ უადვილეს გამოსავალს აუცილებელი თანხის შეძენისათვის და აი როგორ:

ყოველს წევრს საზოგადოებისას შემოაქვს პაი; შეკრებილის პაის თანხისაგან არსდება სამკურნალო (лечебница) კარგად მოწყობილი რენტგენის კაბინეტით და ქირურგიული განყოფილებით: ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ დანიშნულება რენტგენის კაბინეტისა იქნება არა მარტო მომზადება გადაღებისა (снимокъ) სნეულებათა გამოსარკვევად, არამედ უმთავრესად საექიმო.

ასეთი ტიპის სამკურნალოები, როგორც ვიცით, ძლიერ ცოტაა დიდ საუნივერსიტეტო ქალაქებშიაც კი, რომ არაფერი ვსთქვათ საქართველოზე; ეს კი საქმის წარმატების პირველი თავმდებია, ე. წოდებული მეპაები ე. ი. წევრები „ქართველ ექიმთა საზოგადოებისა" სამკურნალოს შემოსავლით არ ისარგებლებენ და წმინდა შემოსავლის ნაწილი მოხმარდება სამკურნალოს გაფართოებას, ნაწილი კი სამეცნიერო ლაბორატორიების დაარსებას, ექიმთა განსამეორებელ კურსთა დაფუძნებას; ნაწილიც პერიოდული სამეცნიერო ორგანოთა და მეცნიერულ ნაშრომთა გამოსაცემად გადაიდება; შესაძლებელია და საჭიროც მეცნიერული ექსპედიციები და სხვა და სხვ.

როდესაც სამკურნალო მატერიალურად გამაგრდება, პაების შემომტანთ შეუძლიანთ გაიტანონ თავიანთი პაი უკანვე. სამკურნალოსთანვე, ან უფრო გვიან, დავაფუძნებთ საქმითი მოსაზრებით ქიმიურ-ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტს არა მარტო ჩვეულებრივი ანალიზებისათვის, არამედ სხვა და სხვა სითხეთა (сывороток) საწარმოებლად.

ამ რიგად ქიმიურ-ბაქტერიოლოგიურს ინსტიტუტს შეუძლიან მოგვცეს დიდი შემოსავალი, რომელსაც მოვახმართ საზოგადოების მეცნიერულს მუშაობას. ამ სახით შეიქმნებოდა საქართველოში მედიკური ცენტრი, რომელსაც აუცილებლივ უსაზღვრო ეროვნული ღირებულება ექნებოდა ჩვენ, ქართველებისათვის, რომ არ ვილაპარაკოთ საზოგადოთ მის მეცნიერულს ღირსებაზე.

ვიმეორებ, რომ ყოველივე წვლილი საზოგადოების დაარსებისა და მისი მომავალი მოღვაწეობის შესახებ არ შეიძლება იქნეს განხილული საგაზეთო წერილში. ეს, ჩემის აზრით, ექიმთა კრების საქმეა.

მინდა უკანასკნელად დავიჯერო, რომ, როგორც ამხანაგი ექიმები, აგრეთვე ქართული პრესაც, გამოეხმაურებიან ჩემს აზრს და საერთო ძალით შევიძლებთ სიტყვიდან დაუყოვნებლივ საქმეზე გადასავალს.

მოსკოვის საიმ. უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი **გაბრიელ ლამბარაშვილი.**

ვთხოვთ სხვა ქართულს გაზეთებს გადაბეჭდონ აღნიშნული წერილი.

გ. ლ.

## გერმანელები შტიურმერის შესახებ

გერმანელ კონსერვატორების ორგანო „კრეიცე ცაიტუნგი" ასე ახასიათებს რუსეთის სამინისტროს თავმჯდომარეს: შტიურმერი ბიუროკრატია ალექსანდრე მესამის დროის ტიპისა. იგი ეკუთვნის რუსის მოხელეთა იმ თაობას, რომლის წარმომადგენლები თან და თან ჰქრებიან. იგი რეფორმებამდე არსებულ ტრადიციების ერთგული თაყვანისმცემელია და მტრულის თვალით უცქერის კონსტიტუციის უბრალო გამოსახულებას. შტიურმერი ავტოკრატიის დამცველია და მფარველი. ამიტომაც მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა პლევესთან და დღესაც სახელ. საბჭოს უკიდურეს მემარჯვენეთა ბანაკში დგას. მისი პოლიტიკური და ეკონომიური შეხედულებანი სრულიად შეეფერებიან მისავე პოლიტიკურ პლატფორმას. იგი ნამდვილი მემამულეა, აგრარი და პრინციპიული მტერი კაპიტალიზმისა. მოსკოვის ვაჭრობისა და პეტროგრადის ფინანსისტების მტერი, იგი დამცველია მსხვილ მემამულეთა ინტერესებისა. შტიურმერი პანსლავისტი არ არის, რაც დამახასიათებელი თვისება იყო ალექსანდრე მესამის დროის მოხელეებისა და როგორც ესენი, შტიურმერიც სრულიად გულგრილად უცქერის აღმოსავლეთის საკითხს და ზრუნავს მარტოოდენ შინაური მართვა-გამგეობის წესის დაცვისათვის.

ამიტომაც შტიურმერს არავითარი საბუთი არ მოეპოება გერმანეთის წინააღმდეგ შურისძიებით და მტრობით იყოს აღძრული. და თუმცა შტიურმერი, როგორც რუსის თავადის ქალის ქმარი, ნამდვილი რუსია, მიუხედავათ თავისი გერმანული გვარისა, მეგრამ მაინც იგი არ იზიარებს ეგრედ წოდებულ „ზოოლოგიურ" ნაციონალიზმს, სათათბიროში იგი მხოლოდ ისეთ პროექტებს შეიტანს, რომელიც ომთან იქნება დაკავშირებული, ხოლო ოდნავადაც არ შეეხება შინაურ პოლიტიკის საკითხებს. საზოგადოებრივ ძალებს იმდენად მოიზიდავს, რამდენადაც გამოსადეგი და სასარგებლო იქნება მთავრობისთვის და გაისტუმრებს რა წამს ისინი მთავრობისთვის ზედმეტი იქნებიან! არსებითად, შტიურმერის იდეალი შეიძლება ორ სიტყვით ასე გამოითქვას: დაუბრუნდეს იმას, რაც 1905 წლამდე იყო. თავის გულში შტიურმერი იმის წინააღმდეგი არ არის რომ ომი დიდ ხანს არ გაგრძელდეს, იმიტომ რომ კარგად ესმის თუ რა საფრთხეს განუმზადებს რუსეთის ძველ რეჟიმს ომის გაჭიანურება.

## წერილი ბათომიდან

დღეს, 6 მარტს, დიდძალი ხალხის თანადასწრებით აკურთხეს ქართ. საქ. საზ. **სკოლა ხუცუბანში.** ს. ხუცუბანი რკ. გზ. სად. ქობულეთიდან 5 ვერსით არის დაშორებული, სძევს აღმოსავლეთით მაღლობ ადგილზე.

1878 წ. ხუცუბანს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, აქ დიდი ბრძოლა მოხდა და აქ არ დარჩენილა ერთი მტკაველა მიწა, რომელიც სისხლით არ იყოს მორწყული. მაშინ აქაურობა სულ გადაბუგეს, მაგრამ დღეს სოფელი ისევ კოხტად არის მოშენებული.

სკოლის გახსნას აღფრთოვანებით შეხვდნენ და დიდძალი ხალხიც დაესწრო. სკოლის კურთხევა მიულოცა და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა შემთხვევით ძვირფასმა სტუმარმა ექიმმა ივანე ელიაშვილმა (ქობულეთის საავათმყოფოს დასათვალიერებლად ჩამოსულმა). ილაპარაკეს აგრეთვე: ბ. იერ. გულისაშვილმა, არს. წითლიძემ, აპ- წულაძემ, ჰაიდარ ბეგ აბაშიძემ და ახლად დანიშნულმა მასწავლებელმა ქალებმა შ. ბრეგვაძემ და თ. დარეჯანაშვილმა.

ხალხი სიხარულით იცრემლებოდა. სტუმართათვის მცირე სადილზე ქობულეთლებმა მკვირცხლად იმღერეს: ხასან-ბეგურა, ალიფაშა და სხ. სრული იმედია მოწაფეთა რიცხვს სკოლა ვერ დაიტევს, რადგან მთხოვნელი ბევრია.

აპ. წ.

## წერილი საინგილოდგან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მეტად გაჭირვებულსა და უმწეო მდგომარეობაშია დღეს საინგილო. ათასნაირი გაჭირვება, შიმშილი, სანოვაგის უქონლობა და სხვა კარზეა მომდგარი, მაგრამ შველა და გასაქანი არსაითა აქვს. ყველაზედ უფრო მეტს უბედურობას დღეს ხორბლის უქონლობა წარმოადგენს, რის გამოც მკაცრი შიმშილია გამეფებული სოფლად. ბევრი ოჯახებია ისეთი რომელთაც, ორი-სამი დღე კია არა, თითქმის მთელის კვირაობით პური არ ენახოთ. დადიან, დაწრწიან ასეთები ტომრებ გადაკიდებულები, ეძებენ პურს სასყიდათ, მაგრამ ვერსადა შოულობენ.

შიმშილობის მთავარი მიზეზი, რასაკვირველია, შარშანდელი მოუსავლობა იყო. წვიმებიანმა გაზაფხულმა ყველაფერი გაახრა და გაატიალა, ნიაღვრებმა კიდევ ბევრ ადგილას ისიც წაიღო რაც წვიმას გადარჩა. ამის გამო ჭირნახული მოვიდა ისეთი მცირე, რომ სათქმელადაც კი არ ღირს, ეს მცირე მოსავალიც ისეთი გამოუსადეგარი გამოვიდა, რომ მისი ჭამა შეუძლებელია, რადგანაც ძალზედ მწარეა და მაწყენარი. ამ დღეებში სოფლად ვიყავ ერთ კარგად შეძლებულს გლეხკაცთან და როდესაც სადილად მშვენიერი გამტკიცული თეთრი პური მოიტანა გაკვირვებით ვკითხე:—კაცო ეს კარგი პური მოგსვლია მეთქი. მასპინძელმა ჩაიცინა და მიპასუხა—არა ბატონო, ეგ ჩვენი პურისა არ არის. ჩვენი წლევანდელი პური ისეთია, რომ მისი ჭამა შეუძლებელია, შემოდგომაზედვე წავედით ურმებით ევლახში და იქიდგან მოვიტანე ხორბალი რუსეთიდგან მოტანილიო.

ასეთი გარემოება თავდაპირველადვე ვიცოდით ყველამ, ვიცოდით, რომ თუ გლეხკაცს არსაით ეშველა დაიმშევა და გაჭირვებაში ჩავარდება. ამიტომ ენკენისთვეშივე მომხმარებელი საზოგადოების მონდობილობით ამ სტრიქონების დამწერმა მომრიგებელ შუამავალთან ერთად სოფლები მოიარა და სთხოვა ყველას ფული მიეცათ რამდენიც შეეძლოთ, რომ დროზედ მათთვის პური გამოწერილიყო. მაგრამ, როგორც ყოველთვის, გლეხკაცებმა ალმაცერად შეხედეს ა წინადადებას. ზოგან სთქვეს ფული არა გვაქვსო, ზოგმა კიდევ, მთავრობა მოვალეა ამ გაჭირვების დროს დაგვეხმაროსო და გვავალოს პურის სასყიდათ საჭირო ფულიო და სხვა. საქმე ასე ჭიანურდებოდა და მხოლოდ იანვრის ბოლოს ძლივს შეგროვდა ხუთის ვაგონისთვის საკმარისი ფული, რითაც მაშინვე დაიბარეს პური სტავროპოლიდგან. კოოპერატივის მაგალითს სხვებმაც წაჰბაძეს და სასოფლოდ დაიბარეს პური ბელაქანმა, ჭარმა, თალამ და ალაბათმა. ხალხი მას შემდეგ მოელის პურს, მაგრამ ჯერ არსადა სჩანს პური და იმედია ჩქარი მიღებისა. ყოველ დღე მრავალი ხვეწნა-მუდარა იგზავნება მოგვაშველეთ პურიო, მაგრამ ვერ იქნა ჩვენმა ხვეწნამ ვერ გასჭრა და დატვირთული ვაგონები სადგურებიდგან ვერ დავძარით. აღარ ვიცით ამიტომ საით და რანაირად მოუაროთ ამ უბედურობას და უშველოთ დამშეულს ხალხს.

მაგრამ განა მარტო პურის უშოვნელობაა აქ სავალალო? საინგილოში, სადაც წინედ შედარებით ყველაფრის იაფობა იყო, ეხლა ცხოვრება წარმოუდგენელი გახდა. ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა, გაზიდეს და ეზიდებიან თბილისსა და სხვაგან. ქათამი, კვერცხი, ერბო, ბრინჯი, თხილი, წაბლი აღარ შეგვარჩინეს. წარმოუდგენელია ის ფასები, რა ფასებშიაც ყველა ეს იყიდება ამ ჟამად. ერბო 1 მან. 40 კ. წინად ათ შაურზე ზევით არასოდეს არ ასულა. ბრინჯი შვიდი მანეთი, წინად სამი მან. იყო. თხილი შვიდი მანეთი, წინად სამ მანეთს არ გასცილებია და სხვ. ამ გაუთავებელ ვაჭანალიის ბოლოს მოსაღებად ადმინისტრაციამ ზომებს მიჰმართა. აკრძალა სანოვაგის გატანა ოლქიდგან, მაგრამ არა მგონია, რომ ამ ზომამაც უშველოს რამე ჩარჩების აღვირ-წახსნილს თარეშს, რადგანაც პოლიციას არ ძალუძს ყველგან თვალყური ეჭიროს და ჩარჩი კიდევ მოახერხებს ოლქიდგან სანოვაგის გაპარებას. ამას წინად ასეთი შემთხვევა იყო. ერთს ჩარჩს ერბოები ეყიდნა და ქილებით ნუხისაკენ მიეზიდებოდა. დარაჯებმა დაიჭირეს და უბრძანეს უკანვე ბაზარში მიეტანა და ნუხისკენ არ წაეღო. გაბრაზებულმა ჩარჩმა ქილები ქვებზე დაანარცხა, დაამტვრია და შემდეგ ერბო ფეხით მისრის-მოსრისა და მიაძახა დარაჯებს: ნებას არ მაძლევთ წაღებისას და არც თქვენს ოლქს ვახეირებ ამ ერბოთიო.

მაგრამ ყველაზე კიდევ უფრო ცუდი საქმე მსხვილ საქონელს დაემართა. მოგეხსენებათ, რომ საინგილო საზოგადოთ საქონლის საუკეთესო გასაშენებელ ადგილად ითვლება და ამიტომ აქ მუდამ ფართოდ მისდევდნენ საქონლის მოშენებას და უმთავრესად კამეჩებისას. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ საქონლით მდიდარს ოლქში დღეს საქონელიც ძალიან შეცოტავდა. მომეტებულმა ფასებმა ყველა წაიცადა, საქონლის ბაზრები აღიართსა და და სხვაგან ჩარჩებით ივსებოდა და ისეთს ფასებს აძლევდნენ, რომ ძნელი იყო, რაც გინდა მაგარი კაცი ყოფილიყო, საქონელი არ გაემეტნა გასასყიდლად. ამიტომ საქონელი მიდიოდა და მიდიოდა უშველებელის და უნახავის ქარავნებით. სამას-ოთხას კამეჩს ერთად ერეკებოდნენ თბილისისაკენ და ამ პროცესს დასასრული არა ჰქონდა. ადმინისტრაციამ ჩქარა იგრძნო ესა და ყველგან დახურა ბაზრები, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს. ჩარჩები ეხლა სოფლებს მოედნენ და დაიწყეს თარეში და გაალაგეს საქონელი. ამის გამო ისე დაცარიელდა ზოგიერთი სოფელი საქონლისაგან, რომ სამუშაოდ და ხვნა-თესვისათვის ძნელი საშოვნელი გახდა და ზოგიერთი სოფელი საგონებელშია ჩავარდნილი და არ იცის რა ჰქნას. ასეთი საქმე დაემართა საქონლით მდიდარს საინგილოს.

ასეთი დღე დაადგა სხვილ-ფეხა საქონელს, მაგრამ არც ცხვარი არის კარგს დღეში. ცხვარს, გარდა იმისა, რომ ფილტვების ავადმყოფობა გაუჩნდა და მუსრს ავლებს, ქეციც მოედო ყველგან და რაც ფილტვების ავადმყოფობას გადარჩა, ქეცმა გაანადგურა. საცოდავი სანახავი არის ამგვარი ცხვრის ფარა, ნახევრად მატყლისაგან გაყვლეფილ-გატიტვლებული. ამგვარი ცხვრის მატყლი უვარგისიც იქნება და მცირეც საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მეცხვარეობამ ე. ი. ცხვრის მოვლა-მოშენებამ ძალზე იკლო და ბევრმა თუშმა, რომელთაც დიდძალი ცხვარი ჰყავდათ ხოლმე საინგილოში საზამთროდ, შარშანდელი ომიანობისაგან გამოწვეული გარემოების გამო, როცა მრავალი მწყემსი ჯარში გაიწვიეს და საშინელი ძნელი გახდა მწყემსის შოვნა, გაჰყიდა სრულიად ცხვარი და მიატოვა მეცხვარეობა.

ასეთია დღეს-დღეობით საინგილოს გაჭირვება-დალხინება. მაგრამ საუბედუროდ, მომავალიც კარგს არას გვიქადის. წრევანდელი ზამთარი მეტად მშრალია და ხმელი, წვიმა თითქმის არ გვინახავს, თოვლი მხოლოდ ერთხელ მოვიდა, ისიც მცირე და ორს დღესაც არ გასტანა, ხელდახელ აიღო ისევ. ამის გამო ხალხი შეშინებულია და კარგს არას მოელის.

ზ. ედილი.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . 8.53 | სალ. |
| „ | საფ. „ | 3 | . 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . 10.20 | სალ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | სამგ. მ. | 4 | . 9.30 | სალ. |
| [illegible] | „ | 10 | . 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . 7.41 | სალ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 | „ „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 | „ „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ 42 | „ „ |
| იორიდან . . . | 11 „ 35 | „ „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ 17 | „ „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 15 | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ 37 | „ „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 08 | „ „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ 58 | „ „ |
| თელავში მიდის . | 5 „ 35 | „ „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 18 | „ „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ 50 | „ „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 | „ „ |

**თელავიდან**

| | | |
|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ 45 | „ „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ 46 | „ „ |
| მელაანიდან . . | 12 „ 02 | „ „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 13 | „ დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ 15 | „ „ |
| იორიდან . . . | 2 „ 53 | „ „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ 40 | „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ 31 | „ „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 | „ „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ 01 | „ „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ 46 | „ „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 | „ „ |


## აბრეშუმის თესლი

**უკვე შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის სააბრეშუმო სადგურში.** თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, უკვე ცნობილი კავკასიაში დ განგებ გამოგზავნილი საქართველოში გასავრცელებლად.

თესლის მოვაჭრეთ ვთხოვ: **თბილისში მომმართონ პირდაპირ მე (სასტუმრო ორიანტი)** და თბილისის გარე—ჩემს წარმომადგენლებს: **ქუთაისში—ნ. ჭელიძეს, აბაშაში—იოსებ გეგენავას და ბათომში—ამბაკო ნადარეიშვილს.**

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ.

**ბადიჰ კოსერი.**

(6—122—1)

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია:

ქართროულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი"




**მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე**

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


წიგნადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.